ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13230904**
თარიღი:**31/03/2023**

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის № 51

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის № 51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს დანართის სახით წარმოდგენილი შემდეგი რედაქციის 35-36 პუნქტები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ᵇ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
35	TOYOTA HILUX, სახელმწიფო ნომრით QV332VQ, სატ. საშ. სარეგისტრაციო (შასის) N AHTFK22G303077618, გამოშვების წელი 2012, ფერი თეთრი.	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N18	5,200.00	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	წინა ხიდის საკისარი ჩაშლილია, დაზიანებულია ყუმბარები, სავალი ნაწილები შესაცვლელია, დაზიანებულია სამუხრუჭე სისტემა, ძრავი სარემონტოა, დაზიანებულია საჭის მექანიზმი, საქარე მინა გაბზარულია, ვიზუალურად აღენიშნება კოროზიები და საჭიროებს სამღებრო-სათუნუქე სამუშაოებს, უკანა მარცხენა მაშუქი გაბზარულია, სავარძლები საჭიროებს რესტავრაციას, ტექდათვალიერება არ აქვს გავლილი
36	VAZ 21214, სახელმწიფო ნომრით QV338VQ, სატ. საშ. სარეგისტრაციო (შასის) N XTA21214071848984, გამოშვების წელი 2007, ფერი თეთრი.	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N18	1,035.00	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	ძრავი დაზიანებულია არ მუშაობს, გადაცემათა კოლოფი დაზიანებულია (მე-2, მე-3 და მე-4 სიჩქარეებიდან აგდებს), ხიდის სარემონტოა, სავალი ნაწილები შესაცვლელია, სავარძლები საჭიროებს რესტავრაციას, ვიზუალურად აღენიშნება კოროზიები და საჭიროებს სათუნუქე/სამღებრო სამუშაოებს. ტექდათვალიერება არ აქვს გავლილი